პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ივნისი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 127 (15037)

ხალხის კანდიდატები

ფიქალის საამქროს საყალიბებელი მანქანის უფროს მემანქანეს ვარდენ მანძულაშვილს კარგად იცნობენ კასპის ცემენტის ქარხანაში. იგი სოციალისტური შრომის გმირია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის დეპუტატი და საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის წევრია.

დამსახურებული დიდება თავისით არ მოსულა. ეს თავდადებული შრომის შედეგია. საწარმოო დავალების სისტემატურად გადაჭარბებასთან ერთად იგი მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ქარხნის კოლექტივმა კვლავ გამოუცხადა დიდი ნდობა მოწინავე მუშაკს და დაასახელა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სურათზე: ვარდენ მანძულაშვილი.

ფოტო რ. კაპარაკასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მონოდებითა და მოვალეობით

PRAVDA

8 ივნისის მოწინავე

ჟურნალისტ ე. გ. ეკიმოვს სარატოვში გამოცდილი სამეურნეო მუშაკის, წარმოების უნარიანი ორგანიზატორის რეპუტაცია აქვს, მრავალი წლის განმავლობაში იგი წარმატებით ხელმძღვანელობს მიმდებ-გამაძლიერებელი მილაკების ქარხნის კოლექტივს. ქარხნის დირექტორს აქვს მეორე — საზოგადოებრივი მოვალეობაც: იგი მეთაურობს საწარმოს პარტიული კომიტეტის იდეოლოგიურ კომისიას.

დირექტორს ყოველთვის აინტერესებს კოლექტივის იდეური ცხოვრება, ცდილობს იყოს ყურადღებიანი მშრომელთა აზრისადმი, მოთხოვნებისა და წინადადებებისადმი. მას ყოველთვის ნახავთ უბნებზე, ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებლებში, ესაუბრება მუშებს, პირადად იცნობს ბევრ მათგანს. ე. გ. ეკიმოვს ცოდნის, ცხოვრებისეული დაკვირვების დიდი მარაგი აქვს და შეუძლია მისცეს საქმიანი რჩევა პროპაგანდისტებს, თვითონ გამოვიდეს მშრომელთა წინაშე პარტიის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, საწარმოს კოლექტივის ამოცანებზე.

პარტიული ხელმძღვანელობის სწორედ ასეთი სტილი, რომლის დროსაც ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან, სტილი, რომლის დროსაც წინა პლანზე მუდამ დგას ადამიანი, მშრომელი, მისი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის განვითარება, — უველაზე მეტად შეესაბამება ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის სოციალისტურ ბუნებას, პარტიის საქმიანობის მაღალ მიზნებს. თვითნებური ადმინისტრირებისა და დაბშული პროფესიონალიზმისათვის უცხო, თავისი არსით ღრმად დემოკრატიული ეს სტილი ფართო ასპარეზს უსახავს მშრომელთა ინიციატივასა და შემოქმედებითს თაოსნობას, უზრუნველყოფს მათს სულ უფრო ფართო ჩაბმას ხელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

სამეურნეო, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანული ურთიერთკავშირი განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს ახლა — სწრაფი და ღრმა ცვლილებების პირობებში, რომლებიც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წარმოებაში. საჭიროა, რომ კოლექტივის თვითეულ წევრს წარმოდგენილი ჰქონდეს ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წარმოებაში. საჭიროა, რომ კოლექტივის თვითეულ წევრს წარმოდგენილი ჰქონდეს ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წარმოებაში. საჭიროა, რომ მხოლოდ ბეჯითი შრომით შეიძლება განხორციელდეს პარტიის მიერ დასახული გეგმები, კიდევ უფრო გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და მნიშვნელოვნად ამაღლდეს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

პოლიტიკური შეგნებულობა ჭვრეტითი თვისება როდია, ეს არის აქტიური, ქმედითი კომუნისტური მოთხოვნა საკუთარი თავისა და სხვებისადმი. იგი გულისხმობს დიდ ყურადღებას საერთო ინტერესებისადმი და უნარს ვიშრომოთ ძალების სრული დაძაბვით, სრულად გამოვავლინოთ ცოდნა და ოსტატობა, უნარი საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯი შევამოწმოთ პარტიის ძირეული ამოცანებით.

ამ ბოლო წლებში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას წინთელ ზოლად გასდევს მისწრაფება უფრო ღრმად, ყოველნაირად შეისწავლონ ცოცხალი პროცესები, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ხდება წარმოებისა და აღზრდის შესაყარზე, შემოქმედებითად გაითვალისწინონ ისინი ადამიანებთან მუშაობაში, მიზანდასახულად იზრუნონ კადრების საქმიანი კვალიფიკაციის, მათი პოლიტიკური, იდეური მომზადების დონის ამაღლებისათვის. სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, თუ რა ნაყოფიერია ეს კურსი, რომელმაც საშუალება მოგვცა უფრო მტკიცედ დაგვეკავშირებინა თეორია პრაქტიკასთან, პარტიული გავლენის, საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და აღზრდის ღონისძიებათა სისტემა ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

გაქანებით უფრო მასობრივი, შინაარსით აქტუალური და შედეგებით ეფექტიანი გახდა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის სწავლება მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში, კადრების მომზადებისა და გადამზადების სხვა ორგანიზებულ ფორმებში. სამეურნეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, კადრების იდეურ-თეორიული ზრდის ურთიერთმქმედების საკითხები უფრო თვალსაჩინოდ, მწვავედ ისმება პარტიულ კრებებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროებისა და პლენუმების სხდომებზე. გაფართოვდა და განმტკიცდა პოლიტიკური აგიტაციის საინფორმაციო ბაზა. მაგალითად, გამოდგა მშრომელებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა „ლენინური პარასკევები", „ერთიანი პოლიტდღე", „კითხვა-პასუხის საღამოები", „საქმიან შეხვედრათა დღეები" და სხვები.

საჭიროა კვლავაც, ხაზგასმული იყო ყრილობაზე, სრულვყოთ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური საქმიანობა იმ მიმართულებით, რომ იგი უფრო აქტიურად უძღვებოდეს და უმტკიცებდეს თვითეულ მშრომელს თავისი საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობას, აიარაღებდეს მას თანამედროვე ცოდნით, აწრთობდეს იდეურად და პოლიტიკურად. საჭიროა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრათ გარკვეული სხვაობა მასებში ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას შორის, რომელიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ცალკეული პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების პრაქტიკაში. ვერ შეეფიგნდებით იმას, რომ საწარმოო გეგზებისა და დავალებების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ზოგან ცდილობენ ხელოვნურად ჩამოაცილონ პასუხისმგებლობას კოლექტივის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობისათვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. უფრო მკაცრი პარტიული მოთხოვნა უნდა წაეყენოთ იმ მუშაკებს, ვინც მიმართავს მხოლოდ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ მეთოდებს, ჯეროვნად ვერ აფასებს ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობას, რითაც ბოჭავს მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარებას.

„თუ ხელმძღვანელი კიდევაც აღმურვილია ერთმმართველობის უფლებებით, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ის მაინც ვერ დაემყარება მხოლოდ ბრძანების ძალას. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა სამეურნეო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანული კავშირი. იგი მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები დღენიადაგ ფიქრობდნენ იმ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა აღმზრდელობითს შედეგებზე, რომლებსაც ისინი იღებენ".

ყველგან როდი ისწავლეს ეფექტიანად გამოიყენონ კომუნისტური აღზრდისათვის მშრომელთა შეგნებულობის ამაღლების ისეთი დიდმნიშვნელოვანი საშუალება, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება. ჩანს, რომ პირდაპირი კავშირია ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების არადამაკმაყოფილებელ საქმიანობასა და იქ ხელმძღვანელობით აღმზრდელობით მუშაობას შორის.

ამ და ამგვარ ნაკლოვანებათა დაძლევა, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ბეჯითი სრულყოფა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, შრომითი კოლექტივების ცხოვრების ყველა მხარეზე მათი გავლენის ქმედითობა, უკეთ გამოვიყენოთ კომუნისტთა, ყველა მშრომელის გამოცდილება, ენერგია და ნებისყოფა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა. მეცხრე ხუთწლედის პასუხსაგებ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მოფიქრებული და მიზანდასახული შეხამება ნაყოფიერ პარტიული ხელმძღვანელობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, ახალი მიღწევების საწინდარია როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში.

მოლაპარაკება კრემლში

2 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნისა** და კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს **მაკარიოსის** მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. (საქდესი).

პრეზიდენტ მაკარიოსის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 2 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს **მაკარიოსის პატივსაცემად.**

საპატიო სტუმართან ერთად სადილზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სპიროს **კიპრიანუ,** პრეზიდენტის ვიცე-მინისტრი პატროკლოს სტავრუ და სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სხვები.

სადილის დროს სტუმრებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა.

ნ. ვ. პოდგორნისა და მაკარიოსის სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).

ზეიმი კუიბიშევში

კუიბიშევი. (საკდესი). კუიბიშევის ოლქის მშრომელებს სასახლურუო დღე აქვთ. 2 ივნისს აქ, ოპერისა და ბალეტის თეატრში, გაიმართა მშრომელთა წარმომადგენელების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ოლქისათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემას.

საზეიმო კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს.

მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

შემდეგ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

წაიკითხა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კუიბიშევის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, მ. ა. სუსლოვმა სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში ორდენი მიაბნია ოლქის დროშას. მან რწმენა გამოთქვა, რომ ეს ჯილდო ოლქის ყველა მშრომელს აღაფრთოვანებს ახალი დიდი წარმატებებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. ორლოვმა დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ოლქის შრომითი მიღწევების დიდად დაფასებისათვის.

საზეიმო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

3. პ. მჭავანაძემ ჯილდოები გადასცა დიმიტროველებს

3 ივნისს კომუნისტური შრომის საწარმოში — თბილისის დიმიტროვის სახელობის წითელი ვარსკვლავის ორდენოსან საავიაციო ქარხანაში დიდი ზეიმი იყო: აქ საწარმოს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ჯგუფისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოები დადასტურდა მოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 3. მჭავანაძე.

ჩინებული საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს თბილისელმა ავიამშენებლებმა მერვე ხუთწლედი. მათ დირსეულად შეასრულეს აგრეთვე მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შემქმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ვადამდე შეასრულეს მიმდინარე წლის ხუთი თვის დავალებაც. ჩაებნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიმიტროველებმა გადაჭარბებით შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, პროდუქციის რეალიზაციის, საერთო პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერების გეგმები.

კოლექტივის შრომამ მაღალი შეფასება მიიღო. მუშაკებმა, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს.

ქარხნის კოლექტივის საზეიმო კრება გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ა. აფციაურმა, მან სიტყვა მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაჭაძეს. ამხ. კვაჭაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მრავე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისა და ახალი ტექნიკის შექმნისათვის საწარმოს მუშაკთა ჯგუფის დაჯილდოების შესახებ.

ჯილდოები გადასცა ამხ. 3. მჭავანაძემ.

ლენინის ორდენი, აგრეთვე ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" გადაეცა ამწყობ ზეინკალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს 3. ასპმინს, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის სპეციალი წოდება მიენიჭა. ლენინის ორდენი მიიღეს ზეინკალმა ბ. კუროშამ, ხარატმა ტ. როსტიაშვილმა, მემოქლონე ამწყობმა ი. ტილაშამ, ზეინკალმა ტ. ციციშვილმა; ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — ხარატმა ა. ბელაშვილმა, მემოქლონე ზეინკალმა ლ. ფერიშვილმა, ზეინკალმა ვ. რაკოვენკომ, ხარატმა ვ. საგინაშვილმა, მჭედელმა ლ. სარიანამ, ქარხნის დირექტორმა ი. ხვედელიანმა. დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს გადაეცა შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ამწყობი ზეინკალი 3. ასპმინი, ხარატი ნ. როდოლანიშვილი, ხარატი ტ. როსტიაშვილი, საწარმოს დირექტორი ი. ხვედელიანი. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დაჭეს, რომ კიდევ უკეთ, უფრო ნაყოფიერად იშრომებენ.

3. მჭავანაძემ მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულთა, უსურვა ახალი წარმატებანი, ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება.

3. აფციაურმა ქარხნის მთელი კოლექტივის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს, რომ ქარხნის მშრომელები ძალღონესა და ცოდნას არ დაიშურებენ, რათა ვადამდე შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის საწარმოო დავალებანი, მუდამ იყონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში. (საქდესი).

მეგობრული შეხვედრა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი** შეხვდა თბილისში გამართული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სავალუტო-ფინანსურ საკითხთა მუდმივი კომისიის XX სხდომის მონაწილე დელეგაციათა მეთაურებს.

შეხვედრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გ. ჯავახიშვილმა სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება.

შეხვედრის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ განსაკუთრებით კარგი პირობებისათვის, რომლებიც შეუქმნეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის მუშაობას, გულითადობისა და მასპინძლობისათვის. მათ აღნიშნეს, რომ აყვავებული რესპუბლიკის, მისი ეკონომიკისა და კულტურის გაცნობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. (საქდესი).

საქაღალდირო ჯილდო მეშვიდეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხანა ზეადიზედ მეშვიდედ პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგებით ქარხნის კოლექტივმა კვლავ შეინარჩუნა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც 1969 წლის მესამე კვარტალიდან ფლობს, ამასთან განვლილ ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებისათვის ქარხანას კომუნისტური შრომის სატიტო სახელი მიეკუთვნა.

განვლილი თვეების შედეგები მოწმობენ, რომ ქუთაისელი ქიმიკოსები პირველობას არ თმობენ. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა ლითოფონი, სრესილი სალებავი, შაბიამანი, მიკრობარიტი და სხვა ძვირფასი ქიმიური პროდუქცია. ქარხნის კოლექტივმა 225 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის მოცულობის დავალებას და ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ლენინგრადი

ლენინგრადი

ლენინგრადი



თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველვყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

როცა თაოსნობას მხარს უჭერ...

ეს იყო ამ რამდენიმე დღის წინათ. ჩემთან, პარტორგანიზაციის მდივნის სამუშაო ოთახში მშენებელი ოსტატი, კომუნისტი ხარიტონ ფირცხალავა შემოვიდა. მას აგიტატორობა აქვს დავალებული და, უნდა ითქვას, რომ კეთილსინდისიერადაც ასრულებს ამ საქმეს.

მოგვესალმა. ხარატი წინა დღის ამბავს მოამყვა: შესალესი მასალა შემოგვაკლდა და გავცდითო. სიტყვა რომ დაამთავრა, სახე შეეკმუხნა და მკვახედ მითხრა:

— ამხანაგო ვახტანგ, ზოგჯერ თუ რაიმეს ხმამაღლა ვიტყვით, გწყინთ ხოლმე. ასეც არ ვარგა.

— რამ აგაღელვათ, რა გაწუხებთ?!

— გახსოვთ, ამას წინათ სააგიტაციო საუბარი ვერ მოვაწყე და ერთი ამბავი დამაწიეთ: ეს კომუნისტს არ ეპატიება, დისციპლინა მოეშვა და ვისაც რა უნდა იმას აკეთებსო. თქვენ კი, ისე გამოდის, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ.

— რა გაქვს მხედველობაში? — — ვკითხე მე.

— აი, თქვენ გიყვართ ასეთი გამოთქმა: აგიტაცია თვალსაჩინოების გარეშე წარმოუდგენელია. გეთანხმებით, მაგრამ თვით პარტორგანიზაცია და მისი ბიურო უყურადღებოდ რომ ტოვებენ ამ საკითხს? თვენახევარზე მეტია პარტიის XXIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, სამშენებლო მოედნებზე კი კვლავ ძველი ლოზუნგები და პლაკატები გამოკრული...

კომუნისტის კრიტიკული შენიშვნა დროული, პრინციპული და საქმისათვის სასარგებლო იყო. იმავე დღეს შევკრიბეთ პარტბიუროს წევრები და შევადგინეთ თვალსაჩინოების მოწყობის კონკრეტული გეგმა. გადაწყდა ამ საქმეში მასობრივად ჩაგვება პარტიული აქტივი, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები.

არ გასულა დიდი დრო, და სამშენებლო მოედნებსა და ხარაჩოებზე გამოჩნდა ლამაზად გაფორმებული პლაკატები: „მოელი ძალები — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას!“, „დავიპყროთ ახალი ხუთწლედის ახალი ზღუდეები!“, „დიადი გეგმის ციფრები“. იქვე სპეციალურ სტენდებზე მოვთავსეთ იმათი ფოტოსურათები, ვინც აშენებს ახალ საცხოვრებელ კვარტალებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს... საკმაოდ კარგად ავსახეთ სტენდებზე აგრეთვე მშენებლობის გეგმები, მომავლის პერსპექტივები, ჩვენი ამოცანები.

და განა მარტო ხ. ფირცხალავამ გამოიჩინა ინიციატივა? კომუნისტთა კრებაზე, რომელიც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას მიეძღვნა, კომუნისტებმა მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. მათს გამოსვლებში ძნელი შესამჩნევი არ იყო საქმისადმი ახლებურად მიდგომის ცდები, ყრილობის მასალებისადმი განსაკუთრებული ინტერესი.

ადრე, როცა საუბარი სამმართველოს მუშაობაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ყველა ლაპარაკობდა ერთსა და იმავე საკითხზე — საწარმოო გეგმის შესრულებაზე. ახლა კი კომუნისტები შედარებით შორს იხედებიან. მათ აღელვებთ წარმოების რენტაბელობა, ფონდების რაციონალურად ხარჯვა, მშენებლობის ხარისხი, თვითღირებულების შემცირება. მაგალითად, პარტიულ კრებაზე მლესავთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. გოგოლაძემ წამოაყენა წინადადებანი, რომელთა გათვალისწინება მშენებლობის თვითღირებულების მკვეთრად შემცირების გარანტიას იძლეოდა.

როცა მრავალი ღონისძიება განხორციელდა, საქმეც ადგილიდან დაიძრა. მარტო აპრილში თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღწეულია 12 ათასი მანეთი ეკონომია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სამმართველოს უფროსმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა დ. ცერცვაძემ გამოთქვა აზრი წარმოების მართვის ნაწილობრივი რეორგანიზაციის შესახებ. კერძოდ, მან მოითხოვა 18 დაქუცმაცებული საწარმოო უბნის ნაცვლად გვქონდეს 8 გამსხვილებული საწარმოო უბანი. ეს საკითხი კომუნისტთა მჯელობის საგნად ვაქციეთ. ყველამ ერთხმად ცნო ამ წინადადების დიდი მნიშვნელობა. მართლაც, მისი განხორციელებით მნიშვნელოვნად შემცირდა ტრანსპორტისა და სასაწყობო მეურნეობის ხარჯები, გამარტივდა მართვა და, რაც მთავარია, დაჩქარდა მშენებლობის ტემპები.

პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა აგრეთვე სამმართველოს ხელმძღვანელთა წინადადებას მოგვეხდინა სამმართველო აპარატის შემცირება და უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ გაგვეშვა 10 სპეციალისტი.

ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყურადღების ცენტრში აყენებს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. და ეს შემთხვევითი როდია. მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სკკპ XXIV ყრილობის დამთავრებისთანავე სამშენებლო უბნებზე შეჭემენით შრომის ნაყოფიერების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ბრიგადები. მათში გაერთიანდნენ სპეციალისტები, მოწინავე მშენებლები, რაციონალიზატორები. პარტიული კრების დადგენილების საფუძველზე საზოგადოებრივმა ბრიგადებმა შეისწავლეს იმ მოწინავე ბრიგადების მუშაობის მეთოდები, რომლებსაც უ. კეკაშვილი და ვ. მელაძე ხელმძღვანელობენ. მოწინავე ბრიგადების მუშაობის გამოცდილებას მიეძღვნა სპეციალური ბიულეტენები, ხოლო შემდეგ ეს გამოცდილება სხვების კუთვნილებადაც ვაქციეთ. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ კონტროლს აწესებს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვაზე, ამ მხრივ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე. მოწინავე მეთოდების დანერგვას მიეძღვნა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, აგრეთვე სამშენებლო უბნების კოლექტივების საერთო კრებები. გამოინახა ახალი რეზერვები, მიღებულ იქნა ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიდი გულმოდგინეა სჭირდება ახალგაზრდობასთან მუშაობას. ჩვენთან ასეთი წესი დამკვიდრდა: წარმოებაში მოსულ ახალგაზრდას აღსაზრდელად კადრის გამოცდილ მუშაზე მივამაგრებთ ხოლმე. ვფიქრობთ, კარგ შედეგს გამოიღებს კადრის მუშების ინიციატივა დეკეზით: „შრომითი ეტაფეტა — საიმედო ხელში“. კადრის მუშები ეხმარებიან ჭაბუკებსა და ჭალიშვილებს პროფესიათა სწრაფად ათვისებაში, დაინტერესებული არიან, როგორ სწავლობენ და ისვენებენ ისინი. ახალგაზრდა მუშების აღსაზრდელად ვიყენებთ სხვადასხვა საინტერესო ფორმასა და მეთოდს.

სპეცმშენი ერთ-ერთი მძლავრი სამშენებლო სამმართველოა ლენინის ორდენოსან № 1 სამშენებლო ტრესტში. მის მასშტაბებზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია ითქვას. სპეცმშენებლების ხელით არის მოპირკეთებული საქართველოს სსრ მინისტრთა სახლის შენობა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, რუსთაველის საქალაქო სახლის, მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შენობები და სხვა ობიექტები. უფრო მეტიც. რუსთავში, სადაც ახლა 100 ათასი კაცი ცხოვრობს, არ არის თითქმის არც ერთი საცხოვრებელი სახლი ან სამრეწველო ობიექტი, რომლის აგებაშიც მონაწილეობა არ მიეღოთ ჩვენს მშენებლებს.

იზრდება მშენებლობის მასშტაბები, ამასთან ერთად იზრდება ლა მტკიცდება ჩვენი პარტიული ორგანიზაციაც. მის რიგებში ამჟამად 49 კომუნისტია. ეს კი უდრიდეს ძალაა იმისათვის, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით შეგასრულოთ.

ჩვენ, მშენებლებს, დიდი საქმეები გვაკისრია. დე, თვითეულ კომუნისტს მუდამ ახსოვდეს თავისი მაღალი მოვალეობა პარტიისა და ხალხის წინაშე, ის, რომ იგი პირადად აგებს პასუხს ამა თუ იმ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის.

ვ. ტონია,
ლენინის ორდენოსანი № 1 სამშენებლო ტრესტის სპეცმშენის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲬᲐᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲔᲑᲘ! ქვეყნის ეკონომიკის ახალი აყვავებისა და ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების დიადი პროგრამა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, ყოველ საბჭოთა ადამიანში იწვევს უდიდესი სიამაყის გრძნობას, შთაგაგონებს ახალი შრომითი გმირობისა და საქმეებისათვის.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა დიადი ლენინური პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად გაზალეს შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. მიღებულია გადაწყვეტილება პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა მშრომელებმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათობით მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, ათი ათასი 800-მდე ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების, ხელსაწყოების, მასალების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიაყიდონ ათასობით ტონა პროდუქტები, გაზარდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

გათვალისწინებულია, რომ საკაპსპლოატაციოდ გადასცემენ 946 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელს, მნიშვნელოვნად გაფართოვდება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა, ამოქმედდება ახალი სამრეწველო ობიექტები და საწარმოო სიმძლავრენი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების აქტივის კრება მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა სახალხო კონტროლიორს აქტიურად ჩაებას საყოველთაო სახალხო მოძრაობაში პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, პრაქტიკული საქმიანობით გაუწიოს ყოველნაირი დახმარება პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში.

თვითეული სახალხო კონტროლიორი უნდა იყოს მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის ნიმუში, უჩვენებდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და სახოგადოებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების პირად მაგალითს, ღირსეულად ამართლებდეს პარტიისა და ხალხის ნდობას. სახალხო კონტროლის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება და მთავარი ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების უფუფ შესრულებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, საწარმოო სიმძლავრეების, მანქანებისა და მექანიზმების რაც შეიძლება ეფექტიან გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას.

მუდმივი კონტროლი უნდა გაგუწიოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოგლასა და გამოყენებას. სახალხო კონტროლიორები ყველგან უნდა იღვწოდნენ მიწისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრისადმი ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის.

კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ახალი სიმძლავრეების, განსაკუთრებით მსუბუქი და კვების მრეწველობის სიმძლავრეების დროულად ამუშავებას, ასამუშავებელ ობიექტებზე მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების თავმოყრის შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებას, დაუმთავრებელ მშენებლობათა რიცხვის შემცირებას, სამშენოთა გაიაფებასა და მშენებლობის ვადების დაცვას.

სახალხო კონტროლიორთა დიდწინშვნელოვანი ამოცანაა საწარმოებსა და ორგანიზაციებში ავლენდნენ და მაქსიმალურად იყენებდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვებს.

აქტივის კრება მოუწოდებს ჯგუფებსა და საგუშაოებს, ყველა სახალხო კონტროლიორს გააძლიერონ კონტროლი მომზირნეობის რეჟიმისა და ყაირათიანობის დაცვისადმი, იყონ მტკიცედ გაილაშქრონ უყაირათობის, მფლანგველობის, ყოველნაირი ზედმეტობის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ხარჯვის დარგში, მკაცრად აღკვეთონ სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევანი.

სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები დღეინადგ უნდა ზრუნავდნენ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებისა და სხვა იმ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან დაკმაყოფილონ მშრომელთა საარსებო მოთხოვნილებანი.

სახალხო კონტროლიორები უფრო მტკიცედ უნდა უზრუნველნენ კონტროლს მართვის აპარატის სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირების შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებას.

სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულება მოითხოვს სახალხო კონტროლის ყველა რგოლის მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაოების ორგანიზაციულ განმტკიცებას, თავიანთ რაიონებსა და კოლექტივებში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირებთან, კომკავშირთან საქმიანი კონტაქტების გაძლიერებას.

აქტივის კრება გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლიორები ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა ქმედითი დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტასა და იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს 1971 წელს — მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილეს წელს.

მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების აქტივის კრებაზე 1971 წლის 3 ივნისს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. 1883-1970“, რომელიც მოამზადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა.

საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი — ლენინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმია. მთელი ისტორია საქართველოს მშრომელების, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის გმირული ბრძოლისა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავ სახელთან.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ვ. ი. ლენინის სიიმედო დასაყრდენი იყვნენ ახალი ტიპის პარტიის მშენებლობაში, რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის ბრძოლაში. როცა კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს აღნიშნავდა, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მთ ხელი შეუწყეს იქ „ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების“ შექმნას. ვ. ი. ლენინს არაერთხელ მაღალი შეფასება მიუცია საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობისათვის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და შეკავშირების საქმეში.

წიგნი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა მუდმივ ზრუნვას იჩენდა დიდი ბელადი ამ ერის, ამ ეროვნების ბედზე, ამ ეროვნების ბედზე, ამ ეროვნების ბედზე

კაირო — ანვარ სადათის გამოსვლა

4 ივნისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახალხო კრების წევრთა წინაშე, რომელიც ამჟამად არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ფუნქციებს ასრულებს.

ა. სადათი შეეხო ქვეყნის საშინაო და სამხედრო მდგომარეობას და ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მთავრობამ განახორციელა ამ დარგებში. შეეხო რა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ამას წინათ კაიროში დადებულ ხელშეკრულებას, პრეზიდენტმა სადათმა თქვა, რომ ეს ხელშეკრულება არის „ამ უკანასკნელი დროის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დადებითი ღონისძიება“. ჩვენ გვინდოდა ამ ხელშეკრულების დადება და დაგდეთ კიდეც, ამით უზრუნველყოფილი ჩვენი ბრძოლის წარმატებით დამთავრების ახალი გარანტიები.

„ახლა, — თქვა შემდეგ ანვარ სადათმა, — ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს ეტაპზე ვართ. ჩვენ ვამკვიდრებთ ხალხის თავისუფლებასა და ნებას, ვამზადებთ ქვეყნის მუდმივ კონსტიტუციას, საფუძველს ვუყრით არაბულ სახელმწიფოთა ფედერაციას და გარდავქმნით არაბთა სოციალისტური კავშირის პოლიტიკურ ორგანიზაციას თავიდან ბოლომდე“.

ილაპარაკა რა ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ბრძოლაზე, ა. სადათმა ხაზი გაუსვა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა „არ დათმობს არც ერთ გოჯ მიწას და იბრძოლებს პალესტინის არაბთა ხალხის უფლებების აღდგენისათვის“.

ოტავა — დიადი გზა

4 ივნისი. (საკდესი). კანადელი კომუნისტები, მუშათა კლასი, ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავენ კანადის კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

კანადის მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის სახელოვანი იუბილეს გამო კანადის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტას სახელზე მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი. წერილის ტექსტი გამოქვეყნებულია გაზეთ „კანადიან ტრიბუნში“. იქვე მოთავსებულია სხვა მოძმე პარტიების მისასალმებელი წერილები.

სერიოზული შიში — ტოკიო

4 ივნისი. (საკდესი). იაპონია შიშობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო გააძლიერებენ ეკონომიურ ზეგავლენას იმასთან დაკავშირებით, რომ გამწვავდა იაპონია-ამერიკის ურთიერთობა და გაღრმავდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის კრიზისი.

ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ზეგავლენას მოახდენენ იაპონიაზე სავაჭრო-ეკონომიური საკითხების გამო იაპონია-ამერიკის ორი მომავალი თათბირის დროს. ერთი თათბირი 14 ივნისს გაიმართება ნიუ-იორკში, მეორე — იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო წარმომადგენლთა თათბირი კი ვაშინგტონში 16-18 ივნისს.

იაპონია-ამერიკის ამ თათბირებს, წერს დღის გაზეთი „მაინიჩი“, „გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. იაპონიის საქმიან წრეებში ვარაუდობენ, რომ მომავალი თათბირების დროს ამერიკის მხარე დაბეჯითებით მოსთხოვს იაპონიას მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ განახორციელოს ვაჭრობის, უცხოთის კაპიტალური დაბანდების ლიბერალიზაცია და იაპონური იენის რევალვაცია. ამ თათბირებზე, აცხადებს გაზეთი, იაპონია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ეგვიპტის ახალი ბიუჯეტი

კაირო. 4 ივნისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ქვეყნის 1971-1972 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 2 მილიარდ 280 მილიონი ეგვიპტური გირვანქის ოდენობით, რაც 210 მილიონით აღემატება ქვეყნის წინა ბიუჯეტის თანხას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას დაგეგმილი აქვს მიუხედავად დამატებითი ხარჯებისა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის, რაც დაკავშირებულია ისრაელის განუწყვეტელ აგრესიასთან, 390 მილიონ გირვანქამდე გაზრდოს ასიგნებანი ეკონომიური განვითარების ეროვნული გეგმის ფარგლებში.

ქვეყნის ახალი ბიუჯეტი ძალაში შევა მიმდინარე წლის 1 ივლისს.

გაათავისუფლეს ჟურნალისტები

ვონტევიდეო. 4 ივნისი. (საკდესი). გაათავისუფლეს პრესა ლატინას საგაზეთოს განყოფილების კორესპონდენტი და თანამშრომლები, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა. პოლიცია თავს დაესხა საგაზეთოს შენობას და განყოფილების თანამშრომლებისადმი ჯერაც არ წაუყენებია არავითარი ბრალდება.

ნატოს საბჭოს სესია — ლისაბონი

4 ივნისი. (საკდესი). გაიხსნა ნატოს საბჭოს მორიგი სესია, რომელშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები და თავდაცვის მინისტრები.

თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრები ბუნდოვანი ფორმულებით ცდილობენ დაფარონ ბლოკის სამარა სამზარეული. სესიაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნატოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას ხმელთაშუა ზღვის რაიონში და ბლოკის სხვა ფლანგებზე მითითები „საბჭოთა საფრთხის“ ტრადიციული ლოზუნგებით.

სესიის მუშაობა მიმდინარეობს ვაშინგტონის აშკარა ზეგავლენით, რომელიც ცდილობს ამავე დროს ევროპელ პარტნიორებს გადააკისროს სამხედრო ტვირთის ნაწილი.

სესია განიხილავს აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პრობლემებს და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, რომლებსაც ნატოელი ლიდერები გვერდს ვერ აუვლიან, რადგან ბლოკის ბევრ ქვეყანაში ფართოვდება მოძრაობა დაძაბულობის შენელებისა და ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის.

ნიუ-იორკი — კოლიტიკური მოტივებით

4 ივნისი. (საკდესი). მეცნიერთა ჯგუფმა, ამერიკის უნივერსიტეტთა პროფესორების ასოციაციის წევრებმა გამოიძიეს მიზეზები, თუ რატომ დაითხოვეს თავის დროზე ანჯელა დევისი კალიფორნიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის ასისტენტის თანამდებობიდან.

მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უნივერსიტეტის აღმინისტრაცია ა. დევისს სდევნიდა პოლიტიკური მოტივებით. მისი დათხოვნის ერთ-ერთი მიზეზი იყო აღმინისტრაციის აზრი, ანჯელა დევისი მეტისმეტად „ექსტრემისტულ სტაჟიებს“ წარმოთქვამსო. უნივერსიტეტის ხელისუფლები, აღნიშნავენ მეცნიერები, დიდი ხანია ემზადებოდნენ, რათა თავიდან მოეშორებინათ ა. დევისი.

მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ კალიფორნიის უნივერსიტეტის აღმინისტრაცია მოქმედებდა უკანონოდ, დაარღვია თავისუფლებანი, რომლებიც მინიჭებული აქვთ უნივერსიტეტების პროფესორებს.

ვაშინგტონი — რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

4 ივნისი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი გამოვიდა თეთრ სახლში გაართულ მორიგ პრეს-კონფერენციაზე. მან უპასუხა კითხვებზე, რომლებიც ეხება ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა დაიმოწმა თბილისში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა, სადაც წამოყენებული იყო წინადადება — დაიწყონ მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, და ჰკითხა რა რ. ნიქსონს, რას აპირებს ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატებიო.

პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაამთავრა ჯარების შეწონასწორებული ურთიერთშემცირების საკითხის შესწავლა; ახლა იმართება კონსულტაციები ნატოს მთელი რიგი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან და, როცა ეს კონსულტაციები დამთავრდება, ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები შეუდგებიან ამ საკითხის განხილვას საბჭოთა კავშირთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად.

შეეხო რა ამ დღეებში სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის კაიროში დადებულ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რ. ნიქსონმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ახლო აღმოსავლეთში „ძალების წონასწორობის“ ამერიკულ გაგებას. ასეთი „წონასწორობის“ შენარჩუნების საბაბით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც ცნობილია, ცდილობს უზრუნველყოს აგრესორი სახელმწიფოს — ისრაელის სამხედრო უპირატესობა, აწვდის მას იარაღს და ამით აქეზებს ისრაელის ექსტრემისტულ წრეებს მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების საბოტაჟისათვის.

პრეზიდენტმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კონსულტაციებს მართავს ტაილანდთან და მესამე ქვეყნებთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის თაობაზე.

პრეზიდენტმა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გავრცელდა ნარკომანია. იგი, როგორც მან თქვა, „საერთო-ეროვნულ პრობლემად გადაიქცა“, რომელიც, უმთავრესად ამერიკის ახალგაზრდობას ეხება.

კარიზი — აფეთქება ლისაბონში

4 ივნისი. (საკდესი). ლისაბონიდან მიღებული ცნობების თანახმად პორტუგალიის დედაქალაქში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მინისტრთა საბჭოს სესიის გახსნის წინ დღეს მოხდა მძლავრი აფეთქება.

ამ აფეთქების შედეგად, რომელიც ღამის 3 საათზე მოხდა ცენტრალური სატელევიზიო და სატელეფონო სადგურის შენობაში, დაზიანდა ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები. ლისაბონში განხორციელდა საგანგებო ღონისძიებანი „აიუდის“ სასახლის დასაცავად, სადაც ნატოს საბჭოს სესია მიმდინარეობს.



მიეძღვნა სახელოვან იუბილეს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდაათი წლის იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა საზღვარგარეთის პრესა, რადიო, ტელევიზია... მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში მრავალი სტატია, კორესპონდენცია, ილუსტრაცია გამოქვეყნდა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა საქართველოს სახელოვან გზას ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ჩვენს ხელთ არის ილუსტრირებული ჟურნალების მხოლოდ ნაწილი, რომელიც ამ დღეებში მიიღო ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებამ. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი დღეანდელი საქართველოს ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში თუ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში, მხატვრის სახელოსნოში თუ თეატრალურ სცენაზე... და ეს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც გამოქვეყნებულია ამ უცხოურ გამოცემებში საქმის ღრმა ცოდნით, სიყვარულით და გემოვნებით, მოამზადა ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებამ.

ჟურნალები „ურსს“ (სსრკ), რომლებიც გამოდის კუბაში, შილეკასა და ურუგვაიში, ჟურნალი „ენფოეი ინტერნაციონალი“ (ჩილე. სანტიაგო), „სოვეტონიონ ჰოიტი“ (გერმანული დემოკრატიული რესპუბლიკა), „სოვიეტ უნიონ“ (შვეიცია) აქვეყნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის ვრცელ წერილს სათაურებით — „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, „ოქროს რესპუბლიკა“, „აყვავებული რესპუბლიკა კავკასიაში“ და სხვ. წერილი, რომელსაც ამ ჟურნალებში დათმობილი აქვს რამდენიმე გვერდი, საქართველოს ბიბლიოთეკა

ერეკლეს ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდაათი წლის იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა საზღვარგარეთის პრესა, რადიო, ტელევიზია... მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში მრავალი სტატია, კორესპონდენცია, ილუსტრაცია გამოქვეყნდა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა საქართველოს სახელოვან გზას ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ჩვენს ხელთ არის ილუსტრირებული ჟურნალების მხოლოდ ნაწილი, რომელიც ამ დღეებში მიიღო ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებამ. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი დღეანდელი საქართველოს ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში თუ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში, მხატვრის სახელოსნოში თუ თეატრალურ სცენაზე... და ეს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც გამოქვეყნებულია ამ უცხოურ გამოცემებში საქმის ღრმა ცოდნით, სიყვარულით და გემოვნებით, მოამზადა ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებამ.

ჟურნალები „ურსს“ (სსრკ), რომლებიც გამოდის კუბაში, შილეკასა და ურუგვაიში, ჟურნალი „ენფოეი ინტერნაციონალი“ (ჩილე. სანტიაგო), „სოვეტონიონ ჰოიტი“ (გერმანული დემოკრატიული რესპუბლიკა), „სოვიეტ უნიონ“ (შვეიცია) აქვეყნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის ვრცელ წერილს სათაურებით — „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, „ოქროს რესპუბლიკა“, „აყვავებული რესპუბლიკა კავკასიაში“ და სხვ. წერილი, რომელსაც ამ ჟურნალებში დათმობილი აქვს რამდენიმე გვერდი, ეძღვნება საქართველოს ეროვნული ეკონომიკის, ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ფინანსების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ეროვნული განათლებისა და კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის

V სპარტაკიადა 1971

დღეს იხსნება საქართველოს V სპარტაკიადა

წინ არის დიდი ასპარეზობა

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

გ. სიხარულიძე

□

სპორტსმენთა დიდი ფორუმის დღეებია თბილისში, მიმდინარეობს საქართველოს მეხუთე სპარტაკიადა, რომელიც ძალთა გენერალური შემოწმებას წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის წინ, რომლის ფინალურ შეხვედრათა დიდი ნაწილი მოსკოვში შედგება. თუ როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ამ გრანდიოზული ასპარეზობისათვის, რა გაკეთდა დღემდე და რა უნდა გაკეთდეს, როგორია შედეგები და პერსპექტივები, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. სიხარულიძეს:

— აი რას გვიამბობს იგი:

— საქართველოს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ერთმილიონიან არმიას ჭეშმარიტად დიდი ზეიმი აქვს. ეს ზეიმი უკვე ერთი თვეა გრძელდება თბილისის სპორტულ ბაზებზე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობებში, მაგრამ მისი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს შედგება თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. სწორედ აქ შედგება საქართველოს მეხუთე სპარტაკიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალი.

მომდინარე წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ქართველი ხალხის, მისი ახალგაზრდობის, სპორტსმენთა ისტორიაში. საბჭოთა საქართველომ ხომ სულ ახლახან იზეიმა თავისი არსებობის, კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ჩვენი სპორტსმენებისათვის ამ წელს სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი მართლაც რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა სპორტსმენების ცხოვრებაში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ისტორიაში, მიუხედავად მეოცე ოლიმპიურ ასპარეზობათა წინ.

როგორც რესპუბლიკურ, ისე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება ადრე დავიწყეთ. ეს პერიოდი ყველაზე შრომატევადა და პასუხსაგები იყო. სპარტაკიადის პირველი ეტაპი მოიცავდა ასპარეზობებს ქარხნებში, სკოლებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებში, სპორტულ კლუბებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. შეხვედრათა სტარტზე გამოვიდა 6.826 კოლექტივის მილიონ ასი ათასზე მეტი კაცი. სპარტაკიადის მომდევნო ეტაპს წარმოადგენდა რაიონული, საქალაქო და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შეჯიბრებები, აგრეთვე საზონათაშორისო ასპარეზობა, რომელშიც 6.000-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. სპარტაკიადები ორგანიზებულად მოეწყო თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, გორში, მცხეთაში, რუსთავში. ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ამ ეტაპებზე ნაჩვენები იქნა საერთაშორისო სპორტის ოსტატის 11 და სსრ კავშირის სპორტის ოსტატის 290 შედეგი. დამყარებულ იქნა სსრ კავშირის ერთი, რესპუბლიკის 16, საოლქო 40, საქალაქო 83 და სარაიონო 291 რეკორდი.

საქართველოს სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაზე სპორტის 26 სახეობაში გამოდის — თერთმეტი ნაკრები გუნდი აჭარიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ფოთიდან, რუსთავიდან, ზუგდიდიდან, ტყიბულიდან, ჭიათურიდან, აგრეთვე რესპუბლიკის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში გამარჯვებულები. სპორტსმენთა საერთო რაოდენობა 2.500-ს აღემატება.

მართალია, საქართველოს სპარტაკიადა საზეიმოდ დღეს გაიხსნება, მაგრამ რამდენიმე სახეობაში შეჯიბრება უკვე ამოიწურა. ასეთია — ცხენოსნობა, აფროსნობა, ტანვარჯიში, წყალბურთი, კრივი, ჭიდაობა სამბო, ველოსპორტი (ტრეკი), თანამედროვე ხუთჭიდი, ძალოსნობა, სასტენდო სროლა. დანარჩენ სახეობებში შეჯიბრება გრძელდება, სპარტაკიადას ფინიშს 8 ივნისს ექნება ნიჩბოსანთა ასპარეზობით. როგორც წესი, სპარტაკიადის მონაწილეებს, აგრეთვე საქართველოს ნაკრებთა წევრებს დათმობილი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტული ბაზები, მათს განკარგულებაშია მაღალი ხარისხის ინვენტარი, მოწყობილობა, რაც ხელს უწყობს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ახალი რეკორდების დამყარებას.

განვლილნმა შეხვედრებმა ცხადყო ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელების განუხრელი ზრუნვა მაღალი შედეგებისათვის. მაგალითად, გუშინწინ დამთავრებულ ძალოსანთა შეხვედრებზე ნაჩვენები იქნა ჭაბუკთა ორი მსოფლიო, სამი საკავშირო და 19 რესპუბლიკური რეკორდი. მსოფლიო რეკორდების ავტორი იყო ქვემძიმე წონის შტანგისტი რ. ტარკილი — მან აკრა 186 კილოგრამი და სამჭიდში აჩვენა 485 კილოგრამი. ამას წინათ ჩვენმა თანამემამულემ გ. გუდაშვილმა ბადროს ტყორცნაში ახალი საკავშირო რეკორდი დამყარა. სტარტზე საქართველოს მცურავებმა 7 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. წინ არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრებია და შედეგებსაც უკეთესს უნდა მოველოდეთ.

სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ჩვენი სპორტული დელეგაციის წარმატებით გამოსვლა ბევრად არის დამოკიდებული დარჩენილი არც თუ დიდი დროს ნაყოფიერად გამოყენებაზე. უკვე ყველა სახეობის მიხედვით შემუშავებულია კონკრეტული გეგმები თუ სად მოეწყობა შეკრება, სად გაიმართება საკონტროლო შეხვედრები და სხვ. სწორედ მომზადების ეს პერიოდი უნდა იქნას გამოყენებული მაქსიმალურად. რა თქმა უნდა, სპარტაკიადის ყოველ სახეობაში მოპოვებულ მიღწევას, ქულას საერთო წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტ მოთხოვნებს ვუყენებთ მძლეოსნებს, მცურავებს, ტანმოვარჯიშეებს, ძალოსნებს, ჭიდაობის სამივე სახეობის წარმომადგენლებს, მოფარიკავეებს.

ახლა ძნელია წინასწარ ვილაპარაკოთ სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის საერთო და პირველ რიგში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საბოლოო შედეგებზე. მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ საქართველოს სპორტსმენები მთელი ძალებით შეეცდებიან წარმატებით დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის ღირსება, აჩვენონ მაღალი შედეგები, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში საქართველოდან სულ მცირე 20-25 კაცი მოხვდება.

ჩემპიონები, რეკორდები

საქართველოს სპარტაკიადის ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატებები მოაქვს. ვეცნობით არა მარტო ჩემპიონებსა და პრიზიორებს, არამედ არა ერთი ჩინებული შედეგის — რეკორდის მოწმენიც ვართ.

მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი შტანგისტების სპორტული დღე. 2 მსოფლიო (ჭაბუკთათვის), 3 საკავშირო და 19 რესპუბლიკური რეკორდი თავისთავად მეტყველებს მაღალ შედეგებზე. აი ვინ მოიპოვა წონითი კატეგორიის მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონობა: მ. პართენაძემ (აჭარა) — 280 კილოგრამი, ა. ჩოლოკიანმა (აფხაზეთი) — 287,5 კილოგრამი, ა. სურმანიძემ (თბილისი) — 347,5 კილოგრამი, ვ. ლობჟანიძემ (რუსთავი) — 400 კილოგრამი, ჯ. გოქსაძემ (თბილისი) — 430 კილოგრამი, ა. ციბანმა (თბილისი) — 405 კილოგრამი, ო. დემუროვმა (თბილისი) — 495 კილოგრამი, ა. ჯეჯილავამ (თბილისი) — 515 კილოგრამი, ვ. კაზანჯიანმა (თბილისი) — 480 კილოგრამი. საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება თბილისელებს ხვდათ — 57 ქულა.

ვარკეთილის სასროლეთზე დაამთავრეს შეჯიბრება მესტენდურებმა. როგორც მოსალოდნელი იყო გუნდურ ასპარეზობაში წარმატება ხვდა თბილისის კოლექტივს, რომელმაც 23 ქულა შეაგროვა. აფხაზეთის გუნდმა 11 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, ქუთაისის გუნდმა 4 ქულით — მესამე, შეუპოვარი გამოდგა პირადი შეჯიბრება. ადგილიდან სროლაში ძირითადი ბრძოლა თბილისელ ზ. მაჩხანელსა და აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელს ჯ. დარასელიას შორის წარიმართა. ჩემპიონის წოდება დაიმსახურა ზ. მაჩხანელმა — 188 ქულა. ჯ. დარასელია მეტოქეს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილს დასჯერდა. ვ. ალავერდოვი (თბილისი, 181 ქულა) მესამე იყო. მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა ტ. ჟღენტმა (თბილისი) — 191 ქულა. მომდევნო ორი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს თ. მატოიანმა (187 ქულა) და თ. იმნაშვილმა (178 ქულა).

დღეს ფინიში ეჭიბათ ჯალათბურთელებს, ფრენბურთელებსა და ხელბურთელებს. გუშინ ჯიმართა მორიგი შეხვედრები. მატჩების შედეგები ფრენბურთში ასეთია: ქალთა გუნდები — თბილისი — ქუთაისი 3:0, აფხაზეთი — აჭარა 3:0, სამხრეთ ოსეთი — რუსთავი 2:3; ვაჟთა გუნდები — თბილისი — რუსთავი 3:0, აფხაზეთი — ქუთაისი 3:2, ტყიბული — აჭარა 0:3, გორი — სამხრეთ ოსეთი 0:3. ხელბურთელთა მატჩების შედეგები ასეთია: ვაჟთა გუნდები — რუსთავი — აჭარა 11:15, გორი — აფხაზეთი 18:14, ფოთი — სამხრეთ ოსეთი 33:22; ქალთა გუნდები — ქუთაისი — აფხაზეთი — 14:13, რუსთავი — ფოთი 18:16.

დაამთავრეს შეჯიბრება რაპირისტმა ვაჟებმა ფარიკაობაში. ჩემპიონი გახდა ნ. ჩიტიაშვილი. ხმლით მოფარიკაჟეთა გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესები იყვნენ თბილისელები, რაპირისტთა შორის — ქუთაისელები.

„ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე მიმდინარეობს შეჯიბრება მწვრილფანტობაში. სტარტზე სპორტის ოსტატმა ჭ. ლოსაბერიძემ 30 მეტრზე სროლაში 330 ქულა შეაგროვა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის ჩემპიონები — ზემოთ მარცხნივ — თ. ლეკვეიშვილი, მარჯვნივ — ა. ლისეცკი (მცურავები), ქვემოთ — 4 კილომეტრზე ველორბოლაში გამარჯვებული თბილისელი გუნდი.

ფოტო ბ. კამენსკისა.

ფეხბურთის მოედნებზე

მცირე შესვენების შემდეგ „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებმა განაახლეს ბრძოლა ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე.

ცსკა-ს გუნდს მორიგი მატჩი საკუთარ მოედანზე ჰქონდა ლენინგრადის „ზენიტთან“ და გაიმარჯვა 3:0.

მატჩი ალმა-ატაში „კაირატისა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდებს შორის დამთავრდა „კაირატის“ გამარჯვებით 3:1.

კიევში შედგა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ადგილობრივი „დინამოსა“ და ესპანეთის „ესპანიოლს“ გუნდებს შორის. წარმატება კიეველებს ხვდათ 2:0.

ევროპის ჩემპიონთა თასი ფეხბურთში მოიპოვა ჰოლანდიის გუნდმა „აიაქსმა“, რომელმაც ფინალურ მატჩში დაამარცხა საბერძნეთის „პანატინაიკოსი“ 2:0.

ოთხივე ცნობილია...

- მაშ ასე, რობერტ ფიშერი (აშერიკის შეერთებული შტატები), რომელმაც დაამარცხა მარკ ტაიმანოვი (სსრ კავშირი) ანგარიშით 6:0, გახდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხე ნახევარფინალისტი და შეხვდება ბენტ ლარსენს. მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ საბჭოთა გროსმაისტერები ტიგრან პეტროსიანი და ვიქტორ კორჩნოი.

ფიშერ-ტაიმანოვის მეექვსე პარტია, რომელიც ბოლო აღმოჩნდა, გადადებული იყო, ამერიკელს ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა და გამარჯვების შანსებს ინარჩუნებდა. მეორე დღეს ტაიმანოვმა თავი დამარცხებულად ცნო თამაშის განუახლებლად.

ნახევარფინალები დაიწყება 4 ივლისს. ნახევარფინალების მოწყობის ადგილებზე ჯერ თვით მოჭადრაკეები უნდა შეთანხმდნენ, შემდეგ კი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი განიხილავს მონაწილეთა წინადადებებს.

გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში, რომელიც სექტემბრისთვის არის დანიშნული.

თვით ჭადრაკის გვირგვინისათვის მარათონული „ბრძოლა“ 1972 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

(საკადისი).

• • •

ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანისა და გროსმაისტერ ვიქტორ კორჩნოის ნახევარფინალური მატჩი შედგება მოსკოვში. ამის შესახებ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ აცნობა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს.

სურათებზე: მარცხნიდან — ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი, რ. ფიშერი, ბ. ლარსენი.

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში

საგასტროლო დღიური

„ეროჩვენებანი“

სოხუმის ჭანბას სახელობის აფხაზურმა თეატრმა გასტროლების მესამე დღეს წარმოადგინა ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“, რომლის აფხაზური თარგმანი ეკუთვნის ჯ. ახუბას. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მიხეილ მარხოლიამ, მხატვარია ე. კოტლიაროვი (აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მხატვარი). როლებს ასრულებდნენ მსახიობი ვ. კოვე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ს. აგუმა, ა. ერმოლოვი, ს. დბარი, საქართველოს სახალხო არტისტი რ. აგრბა.

„დონ-კარლოსი“

გუშინ ნაჩვენები იქნა ფ. შილერის „დონ-კარლოსი“ (აფხაზური თარგმანი ნ. კვიცინიასი). წარმოდგენის რეჟისორია ნელი ეშბა, მხატვარი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მხატვარი ე. კოტლიაროვი, ქორეოგრაფი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. მაჭავარიანი.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობები ვ. კოვი (დონ-კარლოსი), აფხაზეთის დამსახურებული არტისტები ნ. კამკია (ფილიპე II), ს. დბარი (ელისაბედ ვალუა), შ. გიცბა (მარკიზ პოზა), ა. ერმოლოვი (ჰერცოგი ალბა), ს. საქანია (დიდი ინკვიზიტორი), ლ. გიცბა (მარკიზა მონდეკარი), ა. ტანია (დომინგო), ს. აგუმა (პრინცესა ებოლი), საქართველოს სახალხო არტისტი რ. აგრბა (გრაფი ლერმა) და სხვები.

სპექტაკლებს მაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდა.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლები გრძელდება.

სახალხო გმირობის სურათები

საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის მაყურებელმა ნახა სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები. ამ დღეებში კი ჩვენ კვლავ შევხვდით საკმაოდ მომწიფებულ შემოქმედებით კოლექტივს. სასიხარულოა, რომ ამჯერად საქმე გვაქვს დასრულებულ თეატრთან. მე ვნახე თეატრის აფხაზური დასის ჩინებული სპექტაკლი: აფხაზეთის სახალხო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ბაბრატ შინკუბაას „კლდის სიმღერა“ უთუოდ საინტერესო ნაწარმოებია. მისი ღირსებაა ის, რომ იგი მთელი სისრულითა წარმოგვიდგენს აფხაზი ხალხის წარსულს, მის ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის. ამ მხრივ სპექტაკლის მთავარი გმირი ხაჯარათი (მსახიობი ლ. ავიძბა) გვესახება, როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი იდეალების სიმბოლო. მის სახეში ჰპოვებს განსაზღვრებას რევოლუციამდელი აფხაზეთის საუკეთესო მისწრაფებები. მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ სპექტაკლში გვხვდებავს — ეს არის არა მხოლოდ ერთი პიროვნების, არამედ მთელი ხალხის ცხოვრების ჩვენება.

სპექტაკლში მოჩანს კარგი რეჟისურა. ნელი შუბამ წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგომ რთულ ამოცანას და წარმოგვიდგინა რევოლუციამდელი აფხაზეთის სულიერი მისწრაფებები.

გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე უთუოდ ნიჭიერ მხატვრებს ეგენი გოტლიპარუშს (აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მხატვარი). სპექტაკლის წარმატება დიდად განაპირობა მისმა ჩინებულმა მხატვრულმა გადაწყვეტამ. კარგია მუსიკალური გაფორმება (რ. ბუშბა — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ სპექტაკლში შევხვდი ჩვენს ძველ მეგობრებს, სოხუმის თეატრის აფხაზური დრამის ცნობილ მსახიობებს არგუნ-კონნოშოკს, რ. აგრბას, ლ. აგიძბას, ლ. კასლანდიას, მ. კოვეს და სხვებს.

ფრიად სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ აფხაზური დრამის სპექტაკლებს ასეთი ინტერესით და დიდი ყურადღებით ხვდება დედაქალაქის მაყურებელი.

საგასტროლოდ გვეწვია აგრეთვე ქართული დრამის თეატრი. მათ ჯერ სპექტაკლები არ უჩვენებიათ, მაგრამ საგასტროლო აფიშიდან ჩანს, რომ

სურათებზე: მსახიობი ლ. ავიძბა ხაჯარათის როლში; სცენა სპექტაკლ „კლდის სიმღერიდან“. შაბატი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. კასლანდია, ნახარბეი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. კამკია.

ფოტო ს. კილაძისა.

საკავშირო სიმპოზიუმი თბილისში

როგორ ვებრძოლოთ?..

4 ივნისს, თბილისში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საკონფერენციო დარბაზში მუშაობა დაამთავრა გინეკოლოგიის დარგში კიბოს პროფილაქტიკისა და ნაადრევი დიაგნოსტიკის საკითხებისადმი მიძღვნილმა საკავშირო სიმპოზიუმმა. იგი მოაწყეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ცნობილმა ონკოლოგ-გინეკოლოგებმა, აგრეთვე ბულგარეთის წარმომადგენლებმ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუციშვილი შეხვდა სიმპოზიუმის მონაწილეს საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილებისა და ქალის სპეციფიკური კიბოს ეპიდემიოლოგიის საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლ. ჩარკვიანს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— პატივცემულო ლევან, გთხოვთ „კომუნისტის“ მკითხველებს გააცნოთ, რა მდგომარეობაა ამჟამად ჩვენში ქალის სპეციფიკური კიბოს გავრცელების მხრივ და რა ღონისძიებებს ახორციელებთ მასთან საბრძოლველად.

— ქალის სპეციფიკური კიბო საკმაოდ გავრცელებული ავადმყოფობაა და ქალებს შორის ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებაში მას პირველი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაავადება თვალით დასანახ სიმსივნეთა ჯგუფს ეკუთვნის, რის გამოც მისი მკურნალობა და დიაგნოსტიკა შედარებით იოლია, სადღესოდ ამ ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები მაინც არ კლებულობს არც ჩვენში, არც საზღვარგარეთ. ჯერ კიდევ მოისუტტებს სიმსივნეების ნაადრევად დადგენილება, ეგრეთწოდებული კიბოს წინარე დაავადებების გამოჩენა და მისი მკურნალობა, აგრეთვე იმ დაავადებათა გამოვლენება (ეროზიები, პოლიპები, ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესები), რომელთა დროული მკურნალობა არ განავითარებს ავთვისებიან სიმსივნეებს.

კიბოსა და მისი წინარე დაავადების დაგვიანებით გამოვლენების მესამე მესამე სტადიაში კი მესამედდება. უფრო გართულებულ მდგომარეობაში ამ დაავადების მიჯართ მედიცინა უძლური ხდება.

— რა უშლის ხელს კიბოსა და კიბოს წინარე დაავადების გამოვლინებასა და მკურნალობას?

— მიზეზი სამია. პირველი გასლავთ თვით ქალების უყურადღებობა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ქალს ოცვე აქვს წინარე ნიშნები. იგი არ მიმართავს ექიმს და თვითონ იწყებს მკურნალობას, რაც შემდგომში არასასურველ შედეგს გვაძლევს, მაშინ როდესაც დროული გამოვლენებით კიბო იკურნება.

მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით სამკურნალო ქსელში. ქალთა კონსულტაციებსა და გინეკოლოგიურ კაბინეტებში ექიმთა დაბალი ონკო-გინეკოლოგიური განათლების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი დროულად მიმართავს ექიმს, არ ხდება სიმსივნის ნაადრევი გამოვლენება და მისი მკურნალობა, აგრეთვე იმ დაავადებათა გამოვლენება (ეროზიები, პოლიპები, ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესები), რომელთა დროული მკურნალობა არ განავითარებს ავთვისებიან სიმსივნეებს.

კიბოსა და მისი წინარე დაავადების დაგვიანებით გამოვლენების მესამე მიზეზია ამ ავადმყოფობის უსიმპტომოდ მიმდინარეობა. ზოგჯერ ტკივილი და სისხლიანი ჩამონაშალიც დაგვიანებულ, მიშვებულ კიბოზე მიგვითითებს. ტკივილის შეგრძნება სიმსივნის ნერვულ ტოტებში მოხვედრის დროს ვითარდება. ასეთი კიდევი კი მენჯის ახლოს არის, მაშასადამე, უკვე დაავადების მესამე, მეოთხე სტადიასთან გვაქვს საქმე.

უსიმპტომო კიბოსთან სამბრძოლველად გვაქვს უიბარი საშუალება. ეს არის 30 წლის გადაცილებულ ქალთა წელიწადში ორჯერ პროფილაქტიკური გასინჯვა.

ზოგიერთი ქალი ერიდება ონკოლოგიურ დაწესებულებაში მისვლას მიდგარი შეხედულების გამო, ამიტომ ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივით (ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ა. ღვალიაშავა), ქ. თბილისის ორკონტიკიძის რაიონის ქალთა კონსულტაციებში მოეწყო სიმსივნეების პროფილაქტიკის კაბინეტები, რომლებიც აღიჭურვა ნაადრევი დიაგნოსტიკის ყოველგვარი საშუალებებით. ამავე კაბინეტებში დაინერგა ჩემს და ზ. ხითარიშვილის მიერ გაკეთებული ორიგინალური ხელსაწყო, იმ ზერელე ეროზიების სამკურნალოდ, რომლებიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კიბოს წინარე დაავადებას, ვიყენებთ ახალ. კარჩაულის სამკურნალო სითხეს. ამ პროფილაქტიკურ კაბინეტებში მკურნალობამ უკვე გარკვეული ეფექტი გვიჩვენა.

კაბინეტებში მუშაობენ ჩვენი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ადამია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები რ. ჩიტიაშვილი და ზ. ხითარიშვილი.

ქართველი ონკოლოგებისა და ონკოლოგი გინეკოლოგების, აგრეთვე მიანგინეკოლოგების ბრძოლა გაწეულმა გარკვეულმა წვლილმა ნაადრევი პროფილაქტიკისა და ნაადრევი დიაგნოსტიკის საქმეში განაპირობა ამ საკითხზე საკავშირო სიმპოზიუმის მოწვევა ჩვენს დედაქალაქში.

მაშასადამე, ირკვევა, რომ საშვილოსნოს კიბოს ნაადრევ გამოვლინებასა და განკურნებაში დიდი როლი ენიჭება პროფილაქტიკას. ამ მხრივ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა კომიტეტებმა. მათ უნდა განუმარტონ ქალებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის დროულ პროფილაქტიკას. საბჭოთა მეანგინეკოლოგებს აქვთ სამკურნალო საშუალებები ამ დაავადების დროული მკურნალობისათვის, სიკვდილიანობის შემცირებისათვის.

ტელევიზია

5 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, 12.10 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ქართულ ენაში, 12.55 — ლექცია ფიზიკაში, 13.40 — „მუსიკალური შეხვედრები“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.15 — დოკუმენტური ფილმი — „ესპანეთი“ (ქართული ენაზე), 15.30 — „სასტრადო პანორამა“, 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — „კულტურის ფაკულტატი“ — „ოპერატორის ხელოვნება კინოში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა — „ხუთწლედი მოქმედებაში“ 18.00 — ახალი ამბები, 18.05 გადაცემა — „რევოლუციის წარსულიდან“ — ილია წიფაძე, 18.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. პოლონური მხატვრული ფილმი, „პანვოლოდიევსკი“ (პირველი სერია). 19.35 — „ამერიკა პროტესტს აცხადებს“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შემქმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი (ვიდეოჩანაწერი), 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 საქართველოს სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. რეპორტაჟი „ლოკომოტივის“ სტადიონიდან — ვიდეოჩანაწერი, 22.40 — საბერძნეთი ფილმი — „უსახელო უფლისციხელი“, 23.10 — სპორტული გადაცემა — (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.00 — სკოლების დასახმარებლად — დაწყებითი სწავლების სრულყოფისათვის მათემატიკის სწავლების სიახლეთა შესახებ, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ხაზვა, 21.00 — მხატვრული ფილმი „დანდობის ნებართვის გარეშე“ (პირველი სერია).

6 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის შემსწავლელთათვის, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბიჭუნები“, 12.20 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია მათემატიკაში, 13.05 — ლექცია ქიმიაში, 13.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „რაზე მოგვითხრობენ ბავშვების ნახატები“ (გამეორებით), 14.25 — სატელევიზიო ფილმი, 14.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მამათა ნაკვალევზე“, 15.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მულტანორამა“ (გამეორებით), 16.05 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 16.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 17.40 — „დიადი წლების ქრონიკა“ — 1970 წელი, 18.00 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „დეპუტატობის კანდიდატები“, 19.15 — „იდიდე მარად, ჩემი სამშობლოო“ — ლენინგრადის რაიონი. 20.15 — „კინოიფიშა“, 20.45 — „მოამბე“ — — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. პოლონური მხატვრული ფილმი „პან ვოლოდიევსკი“ (მეორე სერია), 22.45 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო გადაცემა.

მეორე პროგრამით

19.00 — კინოპროგრამა „რომანოვების დინასტიის დაცემა“, 20.05 — სატელევიზიო ფილმი, 21.00 — მხატვრული ფილმი „დანდობის ნებართვის გარეშე“ (მეორე სერია).

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

ტალინში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. საქართველოს ნაკრებმა ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და ლატვიის გუნდთან ერთად ლიდერია.

მოსკოვში ჩამოვიდა კვიპროსის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 7 ივნისს ლუჟნიკში ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში შეხვდება სსრ კავშირის ნაკრებს.

რიგაში მიმდინარეობს ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. სამხტრმში უძლიერესი იყო ოლიმპიური ჩემპიონი სოხუმელი ვ. სანნეკი, რომლის შედეგია 16 მეტრი და 53 სანტიმეტრი.

ქომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-92-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99,60-21, უცხოეთის — 93-95